სამუშაო ადგილებზე მომეტებული ტექნიკური საფრთხის კონტროლის მექანიზმი და მისი ეფექტურობა

(ჭიათურის მაღაროებსა და ტყიბულის შახტებში განხორციელებული ტექნიკური საფრთხის კონტროლის ანალიზი)

1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციები

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა შესაბამისი მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.[1]

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მანდატის ანალიზი და მის მიერ, ჭიათურაში, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელობაში არსებულ მაღაროებსა და ტყიბულში, შპს საქნახშირი „ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულ შახტებში განხორციელებული ინსპექტირების მასალების დოკუმენტური ანალიზი.

1.1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლები

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კომპეტენცია ტექნიკური საფრთხის კონტროლის კუთხით ვრცელდება მხოლოდ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით წინასწარაა განსაზღვრული. კერძოდ, სააგენტო უფლებამოსილია შეამოწმოს სამთო ობიექტები (კარიერი, მაღარო, შახტი სასარგებლო წიაღისეულის მექანიზებული წესით მოპოვების შემთხვევაში, ბუნებრივი გამოქვაბულები და მღვიმეები) და სხვა.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ტექნიკური ინსპექტირება დადგენილი პერიოდულობის გარდა, შესაძლოა ასევე განხორციელდეს საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში შესაძლო საფრთხის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ფორსმაჟორის ან ავარიის შემთხვევაში და უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან სიკვდილი მოჰყვა.[2] სააგენტო უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილებისა და ნებართვის გარეშე, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში,

[1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება.

[2] პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 20.

დაუბრკოლებლად შევიდეს მის კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტში და განახორციელოს ინსპექტირება.

ინსპექტირებისას ორგანო ახდენს ტექნიკური საფრთხის შემოწმებას და კონტროლს. საქმიანობის განხორციელებისას ის იყენებს, როგორც ობიექტების ადგილზე შემოწმების, ასევე დოკუმენტური კონტროლის მექანიზმს. სანქციის დაკისრების ეტაპზე ორგანო რეაგირებს მის მიერ განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების დოკუმენტირებული შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ინსპექტირებისას სააგენტო ავლენს ობიექტის დაზიანების, წუნის, სათანადო ტექნოლოგიური პროცესიდან გადახრის შემთხვევებს, რომელიც საფრთხის რისკს ზრდის, აგრეთვე ადგენს უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტებს და განსაზღვრავს მათ ხარისხს, რომელიც შეიძლება იყოს არაარსებითი, არსებითი ან კრიტიკული ხარისხის შეუსაბამობა.

II ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის და მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა.

I ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა;

II ხარისხის არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სიცოცხლისათვის საშიშ საფრთხეს, თუმცა მომავალში მისი გამოუსწორებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანისა და მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;

I ხარისხის არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სიცოცხლისათვის საშიშ საფრთხეს, თუმცა მომავალში მისი გამოუსწორებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;

არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი საქმიანობის შეჩერების გარეშე, რომელიც არ უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომელიც უნდა აღმოფხვრას ობიექტის მფლობელმა;

1.2. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე სააგენტოს რეაგირების ფორმები

დარღვევების გამოვლენის შემდგომ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო დამრღვევის მიმართ სხვადასხვა სახდელს იყენებს. ორგანო დამრღვევს აკისრებს კანონით გათვალისწინებულ სანქციას და ობიექტის მფლობელს დარღვევის აღმოფხვრისათვის კონკრეტულ დროს განუსაზღვრავს. მნიშვნელოვანია, რომ მოქმედი კანონმდებლობა ზუსტად გაწერს სანქციების სახეს თითოეული დარღვევისათვის და სანქციის დაკისრებისას სააგენტოს დისკრეციული მოქმედების ფარგლები ძალიან მცირეა.

დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შესაბამისი კვალიფიკაციის შემდგომ, სააგენტო თანმიმდევრულად ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს, კერძოდ:

არაარსებითი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში

- დარღვევას იღებს ცნობად და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ობიექტების უწყებრივ რეესტრში, დამრღვევს განუსაზღვრავს გამოსწორების გონივრულ ვადას.[3]

არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში

- აჯარიმებს ობიექტის მფლობელს;
- აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ობიექტების უწყებრივ რეესტრში;
- განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის და აკონტროლებს შეუსაბამობის გამოსწორებისათვის დათქმული ვადის დაცვას.[4]

კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში

- გამოსცემს ობიექტის ექსპლუატაციის სრული ან ნაწილობრივი შეჩერების (მათ შორის, ობიექტზე ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობის , მათი ნებისმიერი კომბინაციის შეჩერების) შესახებ აქტს;
- აჯარიმებს ობიექტის მფლობელს;
- განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის;
- აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ობიექტების უწყებრივ რეესტრში;
- ობიექტი შეაქვს მონიტორინგის ნუსხაში, აკონტროლებს, რომ დაცულ იქნეს შეუსაბამობის გამოსწორებისათვის დათქმული ვადა და არ მოხდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაცია, ხოლო ობიექტის ფარულად ექსპლუატაციის შემთხვევაში აჯარიმებს მის მფლობელს და აჩერებს ობიექტის ექსპლუატაციას (მათ

[3] პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 19.3.ა.

[4] პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 19.3.ბ.

შორის , ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობის, მათი ნებისმიერი კომბინაციის ექსპლუატაციას);[5]

არსებითი შეუსაბამობის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში შეუსაბამობა იძენს კრიტიკული შეუსაბამობის სტატუსს.[6]

მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკური საფრთხის კონტროლის პროცესში, კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში სააგენტო გამოსცემს ობიექტის ექსპლუატაციის სრული ან ნაწილობრივი შეჩერების შესახებ აქტს, აჯარიმებს ობიექტის მფლობელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის. თუმცა, მიუხედავად სააგენტოს უფლებამოსილებისა, კრიტიკული შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში შეაჩეროს ობიექტის ექსპლუატაცია, ამგვარი გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ ობიექტის შეჩერებამ შეიძლება გაზარდოს საფრთხე, ან შეჩერება შეუძლებელია ტექნოლოგიური პროცესის ბუნებიდან გამომდინარე.[7]

მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ჩანაწერი დამრღვევის მიმართ გატარებული ღონისძიებების თაობაზე იმპერატიულია, მკაცრად ადგენს განსახორციელებელი მოქმედებების რიგითობას და თითოეული დარღვევისათვის ადგენს რეაგირების კონკრეტულ ფორმას. თავად რეაგირების ფორმების ანალიზიდან იკვეთება, რომ სააგენტოს რეაქციული ბუნება დამრღვევისათვის ჯარიმის დაკისრებაში და აღმოფხვრის მითითებაში ვლინდება, თუმცა, კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო იღებს ობიექტის ექსპლუატაციის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთვხვევაში იგი ვალდებულია დაასაბუთოს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების არსებობა.

2. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული ინსპექტირება ჭიათურის მაღაროებსა და ტყიბულის შახტებში

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კომპეტენცია მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე ტექნიკური საფრთხის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ვრცელდება შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მაღაროებზე და შპს „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფის“ ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელ შახტებზე, რამდენადაც ორივე მათგანი საწარმოო პროცესის სირთულიდან გამომდინარე წარმოადგენს მომეტებული ტექნიკური საფრთხის მქონე ობიექტებს.

მოცემული თავის მიზანია მიმოიხილოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობა ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მაღაროებსა და

[5] პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 19.3.გ.
[6] პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 19.3.ბ.
[7] პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 19.8.

ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოს შახტებში განხორციელებული ინსპექტირების დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე.

ინსპექტირების დოკუმენტების შესწავლა აჩვენებს, რომ ტექნიკური ინსპექტირების ოქმები როგორც წესი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამის საკანონმდებლო სტანდარტთან ურთიერთმიმართების შესახებ. . ისინი უფრო მეტად ტექნიკური შინაარსის მატარებელი დოკუმენტებია, რომელიც მოკლედ აღწერს კონკრეტულ დარღვევას და სააგენტოს გადაწყვეტილებას შესაბამისი სანქციის გამოყენების თაობაზე. ამდენად, მხოლოდ ინსპექტირების ოქმები შესაძლოა ვერ ქმნის დეტალურ სურათს საწარმოებში არსებული ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობის შესახებ, თუმცა, იგი იძლევა სახელმწიფოს მხრიდან დაფიქსირებული დარღვევების, მათი ხარისხის და სააგენტოს მიერ დარღვევის გამოსწორების მიზნით გამოყენებული მექანიზმების აღწერის შესაძლებლობას.

დოკუმენტის შინაარსი დასაზღვრულია სააგენტოს მიერ გამოვლენილი დარღვევებისა და მათზე საპასუხო მექანიზმების გამოყენების ფაქტობრივი აღწერით, რაც ეფუძნება სააგენტოს მიერ მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტებს, სამართალდარღვევის ოქმებსა და სამართალწარმოების მასალების ანალიზს.

2.1. ტექნიკური საფრთხის კონტროლი ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მაღაროებში

ჭიათურის მანგანუმის საბადოზე შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემული 40 წლიანი ლიცენზიის ფარგლებში, საწარმოს მფლობელობაშია რგანის, მღვიმევის, შუქრუთის, წერეთლის და პატარიძის მაღაროები. მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მაღაროები წარმოადგენს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებს.

მაღაროებში ტექნიკური საფრთხის კონტროლის მიზნით, 2012-2015 წლების მანძილზე ინსპექტირების ორგანომ შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელობაში არსებული მაღაროები 20-ჯერ შეამოწმა. ინსპექტირების შედეგად სულ გამოვლინდა 536 შეუსაბამობა. გამოვლენილი დარღვევებიდან, კრიტიკული ხარისხის შეუსაბამობა დადგინდა 6 შემთხვევაში (I და II ხარისხის), ასევე დადგინდა 490 არსებითი (I და II ხარისხის) და 40 არაარსებითი დარღვევა, ხოლო კომპანიისათვის სხვადასხვა დარღვევებისათვის დაკისრებულმა ჯარიმამ საერთო ჯამში 121,124 ლარი შეადგინა.

ჭიათურის მაღაროებში განხორციელებული ინსპექტირების სახეები, წლების მიხედვით::

წელი	გეგმიური ინსპექტირება	ტექნიკური ინსპექტირება მიმართვის/განცხადების საფუძველზე	ინსპექტირება მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით
2012	1	0	0
2013	3	2	0
2014	5	2	0
2015	5	2	0

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ინსპექტირების პროცესში, 6 შემთხვევაში დადგინდა კრიტიკული შეუსაბამობის ხარისხის დარღვევა. მათ შორის, რამდენიმე შემთვევაში დარღვევა ერთგვაროვანი იყო სხვადასხვა ობიექტზე.[8] კერძოდ: 2012 წლის 13 ნოემბერს ინსპექტირების შედეგადრგანის მაღაროს გვირაბების ადგილობრივი განათების ქსელი არ შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, საუბნე განათების ქსელის ზოგიერთი მონაკვეთი ნაცვლად 36 ვოლტისა, განათებული იყო საკონტაქტო ხაზიდან (250ვ).[9] არსებითად იგივე დარღვევა დაფიქსირდა 2013 წლის აგვისტოში პატარიძის მაღაროში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დარღვევა II ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობად შეფასდა, ორგანომ არ გამოიყენა ობიექტის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების მექანიზმი. სააგენტოს მხრიდან კრიტიკული ხარისხის შეუსაბამობის დარღვევაზე რეაგირების ფორმად ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც ჯარიმაა გამოყენებული.

[8] „2012 წლის 13 ნოემბერს „რგანის მაღაროს გვირაბების ადგილობრივი განათების ქსელი არ შეესაბამებოდა წესების მოტხოვნებს, კერძოდ, საუბნე განათების ქსელის ზოგიერთი მონაკვეთი ნაცვლად 36 ვოლტისა, განათებულია საკონტაქტო ხაზიდან (250ვ)“, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2012 წლის 13 ნოემბრის N02/10 ტექნიკური ინსპექტრების ოქმი.

(პატარიძის) მაღაროს გვირაბების ადგილობრიცი განათების ქსელი არ შეესაბამება წესების მოთხოვნებს, კერძოდ საუბნე გვირაბების განათების ქსელის ზოგიერთი მონაკვეთი ნაცვლად 36 ვოლტისა, განათებულია ელმავლის საკონტაქტო ხაზიდან (250ვ), ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2012 წლის 22 აგვისტოს N02/21 ტექნიკური ინსპექტრების ოქმი.

[9] ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2012 წლის 13 ნოემბრის N02/10 ტექნიკური ინსპექტრების ოქმი.

საქმისწარმოების მასალები აჩვენებს, რომ არსებობს კომპანიის მხრიდან დადგენილ ვადაში მითითების აღმოუფხვრელობისა და განმეორებითი დაჯარიმების შემთხვევები.[10]

2012-2015 წლებში, დარღვევის გამოსწორების მიზნით, სააგენტოს მხრიდან კომპანიისადმი დაკისრებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა 500 ლარს, ხოლო მაქსიმალური 18 000 ლარს შეადგენს

ჭიათურის მაღაროებში გამოვლენილი დარღვევები, ხარისხებისა და წლების მიხედვით:

დარღვევა	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
არაარსებითი	3	5	26	6
I არსებითი	1	-	118	186
II არსებითი	12	11	83	79
I კრიტიკული	0	-	2	1
II კრიტიკული	1	2	-	-
სულ:	**17**	**18**	**229**	**272**

2.2. ტექნიკური საფრთხის კონტროლი ტყიბულში, შპს „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულ შახტებში

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით 2007 წელს 45 წლის ვადით შპს „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფზე“ გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. საწარმოს მფლობელობაშია ორი - მინდელისა და ძიძიგურის სახელობის შახტები, რომლებიც ექვემდებარებიან ტექნიკური საფრთხის კონტროლს.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მხრიდან 2012-2015 წლებში ტყიბულში, შპს „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულ საწარმოში სულ 9 ტექნიკური ინსპექტირება განხორციელდა. სამთო ობიექტებზე ტექნიკური ინსპექტირება ჩატარდა მხოლოდ მინდელის სახელობის შახტაზე და ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ შემოწმებულა ძიძიგურის სახელობის შახტა, რომელიც დასაქმებულთა ინფორმაციით ე.წ.

[10] შენიშვნა: 2012 წლის 13 ნოემბერს განხორციელებული ინსპექტირებისას სააგენტოს მიერ შემოწმდა რგანის, მღვიმევის, შუქრუთის და წერეთლის მაღაროები. ინსპექტირების დროს მაღაროებში აღმოჩენილ იქნა 17 დარღვევა, რომლის საფუძველზეც კომპანია ჯამში 13 575 ლარით დაჯარიმდა. ამათგან, ორი დარღვევის დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის გამო კომპანიის მიმართ განმეორებით იქნა გამოყენებული ჯარიმის მექანიზმი.

„დამხმარე შახტაა“ და მხოლოდ ერთი უბნისგან შედგება. ამასთან, ამავე საწარმოს მფლობელობაშია ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, სადაც მიმდინარეობს ქვანახშირის გადამუშავება, თუმცა, რამდენადაც აღნიშნული ობიექტი არ მიეკუთვნება სააგენტოს საზედამხედველო ობიექტს, მასზე ტექნიკური ინსპექტირება არ ხორციელდება.

ტყიბულის შახტებში განხორციელებული ინსპექტირებების პერიოდულობა, დარღვევების რაოდენობისა და ჯარიმის ოდენობების მიხედვით:

ინსპექტირების განხორციელების პერიოდი	დარღვევის რაოდენობა	ჯარიმის ოდენობა
2012 წელი	51	100 ლარი
2013 წელი	69	26,550 ლარი
2014 წელი	46	16,875 ლარი
2015 წელი	42	15,450 ლარი
სულ:	208 დარღვევა	58, 975 ლარი

უწყების მიერ 2013-2015 წლებში ჩატარებული 7 ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა 13 არაარსებითი, I ხარისხის არსებითი ხასიათის 13 დარღვევა, II ხარისხის არსებითი ხასიათის 104 დარღვევა და I ხარისხის 27 კრიტიკული შეუსაბამობა.[11]

ტყიბულის შახტებში გამოვლენილი დარღვევების ხარისხები წლების მიხედვით:

დარღვევა	2013	2013	2013	2014	2014	2015	2015

[11] სააგენტო 2012 წლის განმავლობაში ტექნიკური ინსპექტირების ოქმებში არ ახდენდა გამოვლენილ დარღვევათა დიფერენცირებას მათი სიმძიმის მიხედვით, კერძოდ, არ განსაზღვრავდა კონკრეტული დარღვევის ხარისხს. ამდენად, სტატისტიკური მონაცემი დარღვევების ხარისხების შესახებ არ მოიცავს 2012 წლის ინსპექტირების შედეგებს.

არაარსებითი	1	3	8	0	0	1	0
I არსებითი	3	1	0	4	4	1	0
II არსებითი	14	12	16	12	19	21	10
I კრიტიკული	4	4	3	3	4	3	6
II კრიტიკული							
სულ:	22	20	27	19	27	26	16

გამოვლენილი დარღვევების შედეგად საწარმო დაჯარიმდა ჯამში 58 975 ლარით. მათგან, თითოეული ინსპექტირებისას სააგენტოს გამოყენებული აქვს მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 9 900 ლარის ოდენობის ჯარიმა.

გარდა ჯარიმისა, უწყებას საწარმოს მიმართ 2013-2015 წლების მანძილზე 13-ჯერ აქვს გამოყენებული ობიექტის (მაგ: გამშვები, ტრანსფორმატორი და სხვა.) სრულად ან ნაწილობრივ ექსპლუატაციის შეჩერების მექანიზმი, რომელიც მხოლოდ კრიტიკული შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში გამოიყენება.

3. შეჯამება

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ზედამხედველობის ორგანოს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს სამუშაო ადგილებზე უპირობო დაშვების უფლებამოსილება და ამასთან, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მის ხელთ არის საწარმოს დაჯარიმებისა და ტექნიკური საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერების მექანიზმი. მიუხედავად მისი ფართო მანდატისა და უფლებამოსილებისა, ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები სააგენტოს მუშაობის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

ინსპექტირების დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ სააგენტოს მხრიდან ინსპექტირების ყოველწიური პრაქტიკის მიუხედავად, დასახელებულ ობიექტებში წლების მანძილზე არ მცირდება გამოვლენილ დარღვევათა რაოდენობა და მათი სიმძიმის ხარისხი, რაც ხშირად კრიტიკულ შეუსაბამობასაც კი აღწევს. ამასთან, მიუხედავად 2012 წლიდან ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონირებისა, რაც ტექნიკური ინსპექტირების განხორციელებაში გამოიხატება, ჭიათურასა და ტყიბულში დასაქმებულთა მხრიდან კვლავ

ხშირია ტექნიკურ გაუმართაობასა და ტექნიკური საფრთხიდან მომდინარე მაღალ რისკებზე, როგორც სამუშაო გარემოს ერთ-ერთ კრიტიკულ მახასიათებელზე, მითითება.[12]

სააგენტოს მუშაობის ეფექტურობის ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს მის მიერ დამსაქმებელთა მიმართ, დარღვევების გამოსწორების მიზნით გამოყენებული მექანიზმების პრაქტიკა. ამ ნაწილში, აუცილებელია შეფასდეს სააგენტოს მხრიდან ყველაზე ხშირად გამოყენებული მექანიზმის - დაჯარიმების გამოცდილება, რაც შესაძლოა იყოს სააგენტოს არაეფექტური და არასათანადო მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი.

მაგალითად, ჭიათურის მაღაროებში სააგენტოს მხრიდან დარღვევების გამოსწორებისათვის კომპანიაზე დაკისრებული მინიმალური ჯარიმა შეადგენდა 500 ლარს, ხოლო მაქსიმალური 18 000 ლარს. ანალოგიური მონაცემები, ტყიბულის შემთხვევაში 100 ლარიდან 9 900 ლარამდე მერყეობს. აღნიშნული ოდენობები კი დასახელებული საწარმოების მუშაობის სპეციფიკიდან, გამოვლენილი დარღვევების სიმძიმიდან და საწარმოს მასშტაბიდან (ეკონომიკური მახასიათებლები და სხვა) გამომდინარე შეუძლებელია ჩაითვალოს ეფექტურ და ადეკვატურ ოდენობებად. ამასთან, გარდა კონკრეტული დარღვევების მიმართ არაპროპორციულად დაბალი ჯარიმების გამოყენების პრაქტიკისა, ფაქტია, რომ სააგენტოს მუშაობის ამ პერიოდის გამოცდილება, ვერ ხდება საწარმოების მიერ საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვისა და პრობლემის გადაწყვეტის მიზნით სათანადო მობილიზების განმსაზღვრელი ფაქტორი.

სააგენტოს მიერ ჯარიმის გამოყენების პოლიტიკის საილუსტრაციოდ ერთ-ერთი მაგალითია ჭიათურაში, პატარიძის მაღაროში, 2013 წელს განხორციელებული ინსპექტირების ოქმი, რომელიც სამუშაო პროცესის დროს ორი დასაქმებულის დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით შედგა. 2013 წლის 13 აგვისტოს პატარიძის სახელობის მაღაროში ბურღვითი სამუშაოების განხორციელებისას გრუნტში დაგროვებული დიდი ოდენობით წყლის შედეგად დაიღუპა ორი მუშა და ასევე დაშავდა ორი დასაქმებული.[13] ფაქტის შემოწმების შემდგომ სააგენტომ დაადგინა, რომ კომპანიის მხრიდან დარღვეული იყო ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები კერძოდ, ჩამოქცეული უბნის აღდგენითი-სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა პროექტის გარეშე, რომელშიც ადგილზე არსებული ფაქტორებიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ჩამოქცევის შედეგად გვირაბის შესაძლო დატბორვის შემთხვევაში წყლის უსაფრთხოდ გამოშვების ღონისძიებები. ამ და მაღაროში გამოვლენილ დამატებით რვა დარღვევაზე სახდელად განისაზღვრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება გააჩნია კრიტიკული შეუსაბამობის დადგენისას,

---

[12] ინფორმაცია ჭიათურისა და ტყიბულის ადგილობრივი პროფესიული კავშირების წევრებიდან და სხვა დასაქმებულებიდან

[13] საზოგადოებრივი მაუწყებლის რეპორტაჟი ჭიათურაში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით. https://www.youtube.com/watch?v=tK9dBbxRiQ8;

მაშინ როდესაც ტექნიკური საფრთხე იმდენად მაღალია, რომ იგი უქმნის დასაქმებულთა და მესამე პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს, გამოიყენოს ობიექტის ექსპლუატაციის სრული ან ნაწილობრივ შეჩერების მექანიზმი, ანდა მისი გამოყენების შეუძლებლობა დაასაბუთოს, დოკუმენტური ანალიზი აჩვენებს, რომ ამ დარღვევების არსებობის შემთხვევაშიც კი სააგენტო ამგვარ მექანიზმს უმეტესად არ იყენებს. ამასთან, ასეთ შემთხვევებში, ობიექტის ექსპლუატაციის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების წინაპირობების არსებობისას, ვერ ვხვდებით სააგენტოს მხრიდან ამ მექანიზმის გამოუყენელობის დასაბუთებას. შესწავლილი სამართალდარღვევის ოქმების შინაარსი აჩვენებს, რომ სააგენტოს მხრიდან შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიმართ არ არსებობს ობიექტის ექსპლუატაციის ნაწილობრივ ან სრული შეჩერების პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, რომ დარღვევების ხარისხი რამდენიმე შემთხვევაში ქმნიდა ამ მექანიზმის გამოყენების წინაპირობას. ხოლო შპს „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფის“ მიმართ 2013-
2015 წლებში 27 კრიტიკული ხასიათის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტომ მხოლოდ 13 ჯერ გამოიყენა დარღვევის აღმოფხვრამდე ობიექტის სრულად ან ნაწილობრივ ექსპლუატაციის აკრძალვისა და სამუშაოების ჩატარების შეჩერების მექანიზმი.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხველობის სააგენტოს ინსპექტირების მასალების ანალიზი, როგორც ჭიათურის, ისე ტყიბულში მოქმედ საწარმოებში აჩვენებს, რომ ინსპექტირების სიხშირე ზრდადია განსაკუთრებთ ბოლო წლების მანძილზე (2014-2015წწ.) თუმცა, არ შემცირებულა გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა და არ შემსუბუქებულა მათი ხარისხი. მეტიც, არსებითად ზრდადია მათი რაოდენობა, რაც შესაძლოა კომპანიების საქმიანობის პროცესში ტექნიკური უსაფრთხოების ხარისხის გაუარესებაზე ან ამგვარი საფრთხის რეალურობაზე უთითებდეს.

საწარმოთა ინსპექტირების პროცესი წლების მანძილზე აჩვენებს განგრძობით პრაქტიკას, სადაც დარღვევების დინამიკა და ხარისხი არის მზარდი, ხოლო რეაგირების ერთადერთ ძირითად მექანიზმად რჩება ჯარიმა, რომელიც ვერ ახდენს ეფექტურ გავლენას საწარმოებში ტექნიკური საფრთხის აღმოფხვრის პოლიტიკაზე.

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი მომზადდა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“-ის მიერ „მწვანე ალტერნატივასთან“ თანამშრომლობით პროექტის "მძიმე მრეწველობა ყურაღების ცენტრში: ჭიათურის მაგალითი" ფარგლებში, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

მწვანე ალტერნატივა